საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრიგოლისძე ასათ (ასამ)

გრიგოლისძე ასათ (ასამ), (XII ს. დასაწყისი), დიდგვაროვანი ფეოდალი, გრიგოლისძეთა (გიშელთა) გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი, დავით აღმაშენებლის მეფობის დროინდელი მოღვაწე.

XII ს. დასაწყისში ფლობდა ციხე გიშს. 1117-იდან, დავით აღმაშენებლის მიერ გიშის აღების შემდეგ, მეფის ვასალი გახდა და, როგორც ჩანს, მისგან ჰერეთის ერისთავობა მიიღო. XII–XIII სს. ჰერეთის ცნობილი ერისთავები – გრიგოლისძენი – ასათის შთამომავლები იყვნენ.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

დ. მუსხელიშვილი